პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 13/11/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016355) დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დანართის პირველი პუნქტის „დუმბაძის, 9 აპრილის, გოგიბერიძის, რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩებზე” დაემატოს „ზ[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ[1]) ყოფილი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე - მსუბუქი ტაქსის დგომის ადგილი (5.18 – 1ც.);“

ბ) დანართის პირველი პუნქტის „დუმბაძის, 9 აპრილის, გოგიბერიძის, რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩებზე” „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) რუსთაველის ქუჩის მარცხენა მხარეს, მგზავრთა მოსაცდელთან - ავტობუსის გაჩერების ადგილი (5.16 – 1ც.);“

გ) დანართის პირველი პუნქტის „დუმბაძის, 9 აპრილის, გოგიბერიძის, რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩებზე” დაემატოს „ი[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი[1]) დუმბაძის ქუჩის მარჯვენა მხარეს, ყოფილი წიგნების მაღაზიის წინ, ჭადართან - გაჩერება აკრძალულია (3.27 – 1ც.);“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.